

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო ნაოსნობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომლებიც შემდგომში იწოდებიან "ხელშეკვრული მხარეებად",
სურთ რა ხელი შეუწყონ ორი ქვეყნის შორის მეგობრული ურთიერთობების უმეტესობა განვითარებას და საზღვაო ნაოსნობის სფეროში მათი თანამშრომლობის განმტკიცებას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ შეთანხმებაში:

1. ტერმინი "ხელშეკვრული მხარის ხომალდი" ნიშნავს ნებისმიერ საზღვაო ხომალდს, რომელიც შეტანილია ამ მხარის სახომალდო რეესტრში და ცურავს მისი დროშის ქვეშ. ამასთანავე ეს ტერმინი არ მოიცავს სამხედრო ხომალდებს.
2. ტერმინი "ეკიპაჟის წევრი" ნიშნავს კაპიტანს ან სხვა ნებისმიერ პირს, ნამდვილად დაკავებულს რეისის დროს ხომალდის გემბანზე მოვალეობების შესრულებით, დაკავშირებულს ხომალდის ექსპლუატაციასთან ან მასზე მომსახურებასთან, გააჩნია სათანადო მეზღვაურის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ჩართულია ხომალდის როლში.

მუხლი 2

ხელშეკვრული მხარეები გამოიყენებენ მთელ ძალისხმევას, რათა განავითარონ და განამტკიცონ მათი ქვეყნებს შორის თანამშრომლობა საზღვაო ნაოსნობის სფეროში.

მუხლი 3

ამ შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად ხელშეკვრული მხარეები წაახალისებენ მათ ქვეყნებში საზღვაო ტრანსპორტის დარგის საქმიანობაზე პასუხისმგებელი უწყებების და მათი ქვეყნების საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობას, კერძოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- ორივე ქვეყნის საზღვაო ფლოტისა და პორტების უფრო სრული და ეფექტური გამოყენებისათვის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;
- საფრანგეთის საქმიანობის სფეროში თანამშრომლობის განვითარებისათვის;
- ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური კავშირებისა და გამოცდილების გაცვლის გაფართოებისათვის;
- ახროა გაცვლისათვის საზღვაო ნაოსნობის პრობლემებით დაკავებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობასთან და საზღვაო ტრანსპორტზე საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მუხლი 4

1. ხელშემკვერელი მხარეები თანხმდებიან:
 - ა. ხელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნების პორტებს შორის საზღვაო გადაზიდვებში თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ორივე ხელშემკვერელი მხარის ხომალდების მონაწილეობას და ითანამშრომლონ იმ დაბრკოლებების აღმოფხვრაში, რომლებსაც შეუძლიათ გაართულონ ასეთი მონაწილეობა;
 - ბ. არ შეაფერხონ ერთი ხელშემკვერელი მხარის ხომალდების მონაწილეობა მეორე ხელშემკვერელი მხარისა და მესამე ქვეყნის პორტებს შორის საზღვაო გადაზიდვებში.
2. 1 პუნქტის დებულებები არ შეეხებიან ხომალდების უფლებებს მონაწილეობა მიიღონ საზღვაო გადაზიდვებში ხელშემკვერელი მხარეების პორტებს შორის მესამე ქვეყნის დროშის ქვეშ.

მუხლი 5

თითოეული ხელშემკვერელი მხარე მიაჩნებს მეორე ხელშემკვერელი მხარის ხომალდებს უბრატესი ხელშეწყობის რეჟიმს პორტებში შესვლა-გამოსვლის, ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის პორტების გამოყენებაში, მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის, სახომალდო და სხვა სახის მოსაკრებლებისა და გადასახადების გადახდის, უბრალო კომერციული ოპერაციების განხორციელებისა და საზღვაო ნაოსნობისათვის განკუთვნილი მომსახურებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 6

ხელშემკვერელი მხარეები მიაჩნებენ ერთმანეთს უბრატესი ხელშეწყობის რეჟიმს საზღვაო ნაოსნობის ყველა საკითხში, რომელიც სპეციალურად არ არის დათქმული ამ შეთანხმებაში.

მუხლი 7

ხელშემკვერელი მხარეები თავიანთი კანონმდებლობისა და საპორტო წესების ფარგლებში მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს პორტებში ხომალდების დამუშავების დაჩქარებისათვის, ხომალდების საჭიროების გარეშე დაკავების თავიდან აცილებისათვის და პორტებში საბაჟო და სხვა სახის ფორმალობების შესრულების მაქსიმალურად შესაძლებელი დაჩქარებისათვისა და გამარტივებისათვის.

მუხლი 8

1. ხომალდების ეროვნების დამადასტურებელი დოკუმენტები, საზომი მოწმობები და სხვა სახომალდო დოკუმენტები, გაცემული ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ, აღიარებულნი იქნებიან მეორე მხარის მიერ.
2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის ხომალდდირომელიც აღჭურვილია კანონიერად გაცემული საზომი მოწმობებით, არ დაექვემდებარება ხელახალ გაზომვას მეორე მხარის პორტებში. შესაბამისი საპორტო მოსაკრებლები გამოთვლილი და გადახდილი იქნება ამ საზომი მოწმობების საფუძველზე.

მუხლი 9

ხელშეკვერელი მხარეები თანხმდებიან, რომ არცერთი ხელშეკვერელი მხარე არ დაბეგრავს არანაირი გადასახადით მეორე ხელშეკვერელი მხარის სანაოსნო საწარმოების მიერ საზღვაო გადაზიდვებით მიღებულ ყველა სახის შემოსავლებს.

მუხლი 10

1. თუ ერთ-ერთი ხელშეკვერელი მხარის ხომალდი დაიღუპება ან განიცდის სხვა რაიმე ავარიას მეორე ხელშეკვერელი მხარის შიდა,

ტერიტორიულ წყლებში ან ახლომდებარე საზღვაო ზონაში, ასეთ ხომალდს, ეკიპაჟს, მგზავრებს და ტვირთს ამ მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაეწევა დახმარება და ხელშეწყობა ისევე, როგორც ამ უკანასკნელი მხარის ხომალდს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ხელშეკვერელი მხარის ხომალდი განიცდის ავარიას ან უბედურებას მეორე ხელშეკვერელი მხარის ტერიტორიულ ან შიდა წყლებში, ამ ხელშეკვერელი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს ასეთი ხომალდების დასახმარებლად, სპეციალური ნებართვით შეუძლიათ დაუშვან პირველი ხელმოძვერი მხარის მასველი ხომალდები და საშუალებები.

3. ტვირთი და საგნები, გადმოტვირთული ან გადარჩენილი ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ხომალდიდან, არ დაიბეგრებიან

არანაირი საბაჟო გადასახადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი არ არიან მიწოდებულნი მეორე ხელშეკვერელი მხარის ტერიტორიაზე მოხმარებისათვის ან გასაღებისათვის.

მუხლი 11

თითოეული ხელშეკვერელი მხარე ცნობს მეზღვაურების პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, გაცემულს მეორე ხელშეკვერელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ. მეზღვაურების პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს წარმოადგენენ:

- საქართველოს რესპუბლიკასთან მიმართებაში - საქართველოს რესპუბლიკის მეზღვაურის პასპორტი;

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მიმართებაში - 'მეზღვაურის მოწმობა'.

მუხლი 12

ერთი ხელშეკვერელი მხარის ხომალდების მეორე ხელშეკვერელი მხარის პორტებში დგომის დროს ამ ხომალდების ეკიპაჟის წევრები, რომლებსაც გააჩნიათ ამ შეთანხმების მე-11 მუხლში აღნიშნული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები შეუძლიათ ვიზების გარეშე გადმოვიდნენ ხმელეთზე და იმყოფებოდნენ საპორტო ქალაქში იმ კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებენ ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

იმ შემთხვევაში, თუ ეკიპაჟის რომელიმე წევრს სჭირდება მეორე ხელშეკვერელი მხარის ტერიტორიაზე პოსპიტალიზაცია, მაშინ ამ ხელშეკვერელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლება გასცემს ნებართვას მის ყოფნაზე ქვეყანაში აუცილებელი დროის განმავლობაში.

მუხლი 13

1. ამ შეთანხმების მე-11 მუხლში აღნიშნული მეზღვაურის ბარადობის დამადასტურებელი მოწმობის მფლობელებს უფლება ეძლევათ ნებისმიერი ტრანსპორტის მეზავრის სახით შევიდნენ ან გამოვიდნენ, ან ტრანზიტით გაიარონ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, როდესაც ისინი მიემართებიან საკუთარ ნომალდზე, ან გადადიან სხვა ნომალდზე, მიემართებიან სამშობლოში ან მიემგზავრებიან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც მოწონებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლებების მიერ.

2. ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია 1 პუნქტში, მეზღვაურებს უნდა ჰქონდეთ მეორე ხელშემკვრელი მხარის შესაბამისი ვიზები, რომლებიც გაიცემა კომპეტენტური ხელისუფლების მიერ შესაძლებელ უმოკლეს ვადაში.

მუხლი 14

1. ხელშემკვრელი მხარეების ხომალდებმა და მათმა ეკიპაჟებმა, მეზავრებმა და ტვირთმა მეორე ხელშემკვრელი მხარის შიდა ან

ტერიტორიულ წყლებში, აგრეთვე პორტებში ყოფნის დროს უნდა დაიცვან ამ ქვეყნის შესაბამისი კანონები და წესები.

2. ერთი ხელშემკვრელი მხარის კომპენტენტურ ხელისუფლებას არ შეუძლია ჩაერიოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ხომალდის საშინაო საქმეებში გარდა ხომალდის კაპიტანის, ან საკონსულოს თანამდებობის პირის თხოვნის, ან მათი თანხმობის გარეშე.

3. ერთი ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ხელისუფლება არ მიიღებს განსახილველად სარჩელს, გამომდინარე საპართალდარღვევიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეორე ხელმომწერი მხარის ხომალდის გემბანზე ამ მხარის შიდა ან ტერიტორიულ წყლებში, აგრეთვე პორტებში ყოფნის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა. სამართალდარღვევის შედეგი ვრცელდება ხელმომწერი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის უფლებებზე;

ბ. ადგილი აქვს ისეთი სახის სამართალდარღვევას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგს ან მის უშიშროებას.

გ. ადგილი აქვს სამართალდარღვევას იმ პირის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენს ამ ხომალდის ეკიპაჟის წევრს.

დ. მოცემული ხელშემკვრელი მხარის ღონისძიება გამომდინარეობს ნარკოტიკული საშუალებებით ან ფსიქოტროპული ნივთიერებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის აუცილებლობიდან.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში ხსენებულ შემთხვევაში, თუ ერთი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ხელისუფლებებს განზრახული აქვთ ჩაატარონ იძულებითი ქმედებები მეორე ხელშემკვრელი მხარის ხომალდის მიმართ, ან ჩაატარონ ოფიციალური გამოძიება მის გემბანზე შიდა ან ტერიტორიულ წყლებში, აგრეთვე პორტებში ყოფნისას, მაშინ ამის შესახებ მათ წინასწარ უნდა აცნობონ სახელმწიფო დროშის დიპლომატურ ან საკონსულო თანამდებობის პირს ან მისცენ მათ კონტაქტის დამყარების საშუალება. სასწრაფო შემთხვევაში აღნიშნული კომპეტენტური ხელისუფლება ატყობინებს დიპლომატურ ან საკონსულო დაწესებულებას ზომების მიღების გარეშე.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებანი არ ეხებიან კონტროლისა და გამომძიების უფლებებს, რომლებიც გააჩნია თითოეულ ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლებებს მათი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნ. თითოეული ხელშეკრული მხარე იტოვებს უფლებას უარი თქვას თავის ტერიტორიაზე იმ მეზღვაურების მიღებაზე, რომლებსაც ის მიიჩნევს არასასურველად.

მუხლი 5

ორივე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები ერთ-ერთი რომელიმე მხარის წინადადებით უხვდებათ შეთანხმებულ ვადებში მონაცვლეობით საქართველოს რესპუბლიკის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქებში ამ შეთანხმების შესრულების მიმდინარეობისა და ორივე ქვეყნის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი რეკომენდაციების განხილვისათვის.

მუხლი 6

ხელშეკრულ მხარეებს შორის უქსადლო აზრთა სხვადასხვაობები ამ შეთანხმების განმარტებასა ან გამოყენებასთან მიმართებაში გადაწყვეტილ იქნება კონსულტაციების გზით მეგობრობის და ურთიერთგაგების სულისკვეთებით.


მუხლი 7

ეს შეთანხმება ძალაში შედის 30 დღის შემდეგ, როდესაც ხელშეკრული მხარეები წერილობითი ფორმით ერთმანეთს აცნობებენ იმ იურიდიულ ფორმალბების შესრულების შესახებ, რომლებიც საჭიროა წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის.

ეს შეთანხმება ძალაში რჩება ხუთი წლის განმავლობაში და ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი სამწლიანი პერიოდებით, თუ ერთ-ერთი ხელშეკრული მხარე წინასწარი შეტყობინებით თორმეტი თვით ადრე დენონსირებას არ გაუკეთებს მას წერილობითი ფორმით .

შესრულებულია ქვეყნში 1993 წ. 3 ივნისს ორ პირად, ქართულ, ჩინურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

